გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 135

2020 წლის 9 ოქტომბერი

ქ. გორი

ქალაქ გორში, გალუსტაშვილის ქუჩა №16-ის და №26-ის მიმდებარედ „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ქალაქ გორში, გალუსტაშვილის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, სადაც აღნიშნავენ, რომ გალუსტაშვილის ქუჩაზე არსებულ სკვერის მიმდებარედ საჭიროა ავტოტრანსპორტის სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობების დაყენება. გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შსს-ს საპატრულო პოლიციის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან ერთად შეისწავლა მითითებულ მისამართზე არსებული მდგომარეობა. საგზაო უსაფთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ქალაქ გორში, გალუსტაშვილის ქუჩა №16-ის და №26-ის მიმდებარედ, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“:

„ხელოვნური უსწორმასწორობები“ უნდა დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და მოძრაობის მიმართულებით განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზაო ნიშნები: ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“; ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ); გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ გორში, გალუსტაშვილის ქუჩა №16-ის და №26-ის მიმდებარედ, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“.
2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და მოძრაობის მიმართულებით განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;

ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);

გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე